**ამბროლაურის მუნიციპალიტეტი**

**სხვავის დასახლების საერთო კრების სხდომის/კონსულტაციის**

*(დასახლების სახელწოდება)*

**ოქმი N 1**

20 „ 04 2023 წელი

სოფ. სხვავი *(დასახლების სახელწოდება)*

ესწრებოდნენ: დასახლებაში რეგისტრირებული 89 ამომრჩევლიდან 81 ამომრჩეველი, მათ შორის 35 ქალი და 46 კაცი. დამსწრე ამომრჩევლიდან 0-- შშმ პირი, მათ შორის შშმ ქალი 0 -- , შშმ კაცი 0-- .

დამსწრე ამომრჩევლების ასაკობრივი გადანაწილები შემდეგი იყო:

18-25 წელი 0-- ამომრჩეველი

25–60 წელი 43--- ამომრჩეველი

60+ --38 ამომრჩეველი

დღის წესრიგი:

1. ამბროლაურის მუნიციპალიტეტის სხვავის ადმინისტრაციულ ერთეულში მდებარე სოფელ სხვავის დასახლების ორი ან მეტ დასახლებად გაყოფის საკითხის განხილვა და დასახელების შერჩევა.

სხდომის თავმჯდომარე: ზვიადი მხეიძე **ზვიადი მხეიძე**

(სახელი და გვარი)

1. მოისმინეს: სხდომის თავმჯდომარემ ბატონმა ზვიად მხეიძემ დამსწრეებს გააცნო დღის წესრით გათვალისწინებული საკითხი:
   ამბროლაურის მუნიციპალიტეტის სხვავის ადმინისტრაციულ ერთეულში მდებარე სოფელ სხვავის დასახლების ორი ან მეტ დასახლებად გაყოფის საკითხის განხილვა და დასახელების შერჩევა.

   სხვავის ადმინისტრაციული ერთეულის მაჟორიტარმა დეპუტატმა ბატონმა ზაალ მეტრეველმა გაახმოვანა სოფლის მოსახლეობის მოთხოვნა სოფ. სხვავის გაყოფასთან დაკავშირებით, კერძოდ აღნიშნა, რომ ისტორიულად არსებობდა სამი სოფელი: ზემო სხვავა, შუა სხვავა და ქვემო სხვავა. მოსახლეობა უკმაყოფილებას გამოთქვამს, რომ აღნიშნული ბოლო წლებში შეცვლილია და გაერთიანებულია სამი სოფელი ერთი სახელის ქვეშ, სოფლის მხარადჭერის პროგრამით მხოლოდ ერთ სოფელზე გამოიყოფა შესაბამისი დაფინანსება, რაც სამივე სოფელში არსებულ პრობლემებს ვერ აგვარებს, სოფლის მდებარეობის არეალი არის დიდ ფართობზე. მოსახლეობას მიზანშეწონილად მიაჩნია სოფელი დაიყოს ისტორიულად ისევ სამ სოფლად: ზემო სხვავა, შუა სხვავა, ქვემო სხვავა).

დისკუსიის შემდეგ გაიმართა ღია კენჭისყრა.

კენჭისყრის შედეგად ოთხმოცდაერთმა ამომრჩეველმა ერთხმად დაუჭირეს მხარი სოფ. სხვავის დასახლების გაყოფას სამ დასახლებად.